ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიაგვი

8

აპრილი

1991

ნახ. ვ. კუტიანი

ცრემლად მიციმციმებს გული,
ტირის გული, ბლოკავს გული
და ვარ მისი ვდილებული,
მისაჭართველოებული!..

ზაურ გოლეთაძე

თამაზ ჭილაძე — 60



60 წლის თამაზ ჭილაძეს

აჰა, **მიიწურა ზამთარი,**
შენთვის მესამოცედ დამდგარი.
მაგ ზამთრის მიწურულს გიხსენებ,
შენი ნიჭის სხივით გამთბარი!

იმ **ლექსებს** ხსოვნაში ვინახავ,
ფიქრიანს და ტკივილებიანს.
რომ ვიცი, ვინ იყავ, ვინა ხარ —
გილოცავ კაცს, კაცურწლებიანს!

ის **პოსეიდონის სასახლე**
შეხვდება ბევრ მზიან ალიონს.
პატრონს კვლავ გიმრავლოს სახელი,
თუნდაც რომ **შუადღე** გალიო!..

თამაზ ებანოიძე

მეგობრული შარჟი

გიორგი იარალიანისა (სომხეთი)

მკითხველს ვთავაზობთ გაზეთ „ერთობაში“ 1918 წლის 26 მაისს გამოქვეყნებულ „ანდაზებს“. უადრესად მძიმე ვითარებაში აღდგა საქართველოს ხალხმწიფოებრივი დამოუკიდებლობა — სამეურნეო ნგრევა, თურქების შემოტევა!.. მაგრამ ქართველი კაცისთვის არასოდეს უღალატია იუმორის გრძნობას!

ანდაზები, შეკრებილი და გამშვენიერებული ეშმაკის მიერ

- **„არა შეჯდა მწყერი ხეზა, არა იყო გვარი მრსი“** (ქართველმა სთქვა: სულ ერთია, ვინც წამიყვანს, ვარ იმისი).
- **„აპრუწუწუნის წამალი პრასა და ნიახურია“** (აპარას წაევბლაუკეთ, ლამის დაკარგოთ გურია).
- **„ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია“** (ყმაწვილსა კარგი ქრთამითა სახლი აუშენებია).
- **„არრა მწამს რა დიაცისა, არც მოწმენდილი ციხაო“** (არც ძველი პოლიციელის, არც ახალ მილიციისაო).
- **„თუ გაჭირვებას მიჩვენებ, გიჩვენებ გაქცევასაო“** (ჩვენ არ გვიჭირდა... მოვრბოდით... ამით ვაჯობეთ სხვასაო).
- **„გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“** (ზავს აკაკი ვერ მოგვიტანს, თუ არ მივაშველეთ ჯარი!).
- **„ბარდამხდა გადახავალი, ხვას უარესსა მოველი“** (უნდა მღეროდეს ამ სიტყვებს ქართველი კაცი ყოველი).
- **„დათვი საძაღლე გახდაო, იმისი საქმე წახდაო“** (დღეს ლამის კატამ გაბედოს იმისი ტყავის გახდაო).
- **„არ გაიკითხვენ გოგოსა ტირილითა და ვიშითა“** (არცარა ქართველ მეომარს სიმხდალითა და შიშითა).
- **„ხერხი სჯობია ღონესო, თუ კაცი მოიგონებსო“** (ნეტავ ეგ იმათ იცოდენ, ვინც ბეჭდავს ჩვენთვის ბონებსო).
- **„თუ მახპინძელი არ მღერიხ, სტუმარსაც მოეწყინებისო“** (დღეს მღერას ნუ სთხოვ მასპინძელს, თუ ღირსი არ გყო გინებისს!).
- **კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს“** (დღეს სულ გააქვთ და გამოაქვთ ყველას, ხელი ვისაც ჰქონდეს).
- **„თუ თავი შენი თან გახლავს, ღარიბად არ იხსენებ!“** (აქ იგულისხმეთ „თავები“ — ქალაქში დანაყენები!).

ნახ. ჯ. ლოლუასი

— პროდუქტი რომ შეგაქვს გასაყიდად, სერთიფიკატი უნდა წარმოადგინო!
— არა, ძმაო, ეს ფულია, პროდუქტი უნდა ვიყიდო!

ნიშნები

თუ გაზგამყვანი გადის თქვენი სოფლის ახლოს და მხოლოდ სახლებში არ არის გაზი, ე. ი., თქვენ ცხოვრობთ სსრ კავშირში!

თუ გარეული ბატები და იხვები თბილი მხარეებიდან მაძღრები დაბრუნდნენ, ე. ი. იქ არ არის განვითარებული სოციალიზმი!

თუ აგრეგატები მინდვრად დგას უსაწვავოდ, მაშასადამე, დაიწყო მკა!

თუ ქალი მიდის მოდური პატარა ჩანთით, მაშასადამე, გაუთხოვარია, თუ მძიმე ჩანთით — გათხოვილია!

თუ შარვლიანი ადამიანი დაინახეთ მოკლედ შეკრეჭილი თმით და პაპიროსით კბილებში, ნუ იჩქარებთ დასკვნების გაკეთებას, რომ თქვენ წინაშე მამაკაცია (ნიშნები საეჭვოა!).

„განვითარებული სოციალიზმის“ შესახებ

უმუშევრები არ არიან, მაგრამ მომუშავეც არავინ არ არის!

მომუშავე არავინ არ არის, ხოლო გეგმები კი გადაჭარბებით სრულდება!

გეგმები გადაჭარბებით სრულდება, არაფერი კი არ არის!

არაფერი არ არის, ყველას კი ყველაფერი აქვს!

ყველას ყველაფერი აქვს, ყველა კი უკმაყოფილოა!

ყველა უკმაყოფილოა, შეცვლა კი არავის არაფრის არ უნდა!

არავის არაფრის შეცვლა არ უნდა, ყველა ყველაფერს ლანძღავს!

ყველა ყველაფერს ლანძღავს, მომუშავე კი არავინაა!

მომუშავე არავინაა, უმუშევრები კი არ არიან!

დავით კაკაბაძე

ფანტაზიები

ახალგაზრდა კაცს, 24 წლის მუტრუკს, ესაჭიროება 450 მანეთი საბჭოური ფული ორ ძმაკაცთან ერთად რესტორანში საქეიფოდ. ჩვენ, როგორც ყოველთვის, იმედი გვაქვს თქვენი გულ(ფულ)უხვობისა! თანხის გაღების მსურველმა სასწრაფოდ დარეკოს ტელეფონით... იკითხოს კეშა!

* * *

თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტ ქალიშვილს, რომლის საკანდიდატო დისერტაციის თემაა „გოეთეს ბებიის ქართველობის საკითხისათვის“, ესაჭიროება ვალუტა ვაიმარში გასამგზავრებლად. იქ ის გოეთეს სახლ-მუზეუმში გაეცნობა საარქივო მასალებს. თუ ვინმეს გაქვთ კონვერტი და ვალუტა, გთხოვთ დარეკოთ ტელეფონით... იკითხეთ ნინუტა!

* * *

შეზარხოშებულ შუახნის კაცს მოუნდა ავტომობილით სეირნობა იმ პირობით, რომ საჭეს თვითონ მიუჯდება. გამოეხმაუროს მხოლოდ „ვოლგის“ მფლობელი, ფერს მნიშვნელობა არა აქვს! ავტომობილი უნდა მიიყვანოთ შემდეგი მისამართით... ვიმეორებთ მისამართს!..

* * *

ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს ეზოდან გაიტაცეს სპილოს-ძვლისფერი ვოლგა „გაზ-24“, სახელმწიფო № ... გამტაცებელს ვუბრძანებთ, ავტომანქანა დააბრუნოს გარეცხილი და ბენზინჩასხმული! უკანა საჭდომზე შეუძლია დადოს შამპანურიანი ბოთლებით სავსე კალათი!

განცხადებები ჩაიწერა
ძირუ ლელიამ

1. ჰელმუტ კოლი

ბუნებრივია, ჩვენს საზოგადოებაში ცხოველი ინტერესი გამოიწვია შარშან, წლის ბოლოს, გაზეთებში — **„შარავანდსა“** (№ 4) და **„ლიტერატურულ საქართველოში“** (№ 50) გამოქვეყნებულმა **„სენსაცია, სენსაცია“** წერილმა **„სადამ ჰუსეინი — სტალინის შვილიშვილი, ჯორჯ ბუში?..“**, სადაც საყოველთაოდ გამხელილია ადრე მხოლოდ ვიწრო წრისათვის ცნობილი ორი უდავო ჭეშმარიტება, რომ მსოფლიოს უძლიერესი და უმდიდრესი ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ახლო აღმოსავლეთის ასევე გამორჩეული სახელმწიფოს, ერაყის, პრეზიდენტები შთამომავლობით ქართველები არიან! სახელდობრ, **ჯორჯ ბუში** სრულებითაც არ ყოფილა **ბუში:** ის კანონიერი შვილია ცნობილი თეატრალური რეჟისორის **ვასილ ყუშიტაშვილისა,** ხოლო **სადამ ჰუსეინი სტალინის** უფროსი ვაჟის, **იაკობ ჯუღაშვილის** მემკვიდრეა.

და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენამდე გამოჟონა ცნობამ, რომ **რეიგანის** მეუღლე **ნენსი** (ბავშვობაში — **ნელი**) დედმამიანად ამერიკაში ცხენოსნობაზე ჩასული სუფთა **ბურულები** არიან. ჩვენები ახლაც ღიმილით იგონებენ, ლანჩხუთში როგორ შეიცვალა **ნელის** ბებიამ მისი **„ვინცხა ირტისტზე“** გათხოვება. ხმამაღლა მოსთქვამდა თურმე: **„ამ უღმერთოებმა** (მშობლები ჰყავდა მხედველობაში) **რავა დამილუპეს სიმწრით გამოზრდილი ბაღანაო“.** ეჰ, რა იცოდა უბირმა, სოფლელმა მოხუცმა ქალმა, მისი **სიძე** მერმე რამხელა კაცი გახდებოდა!

დიდი აღმოჩენები იმიტომაცაა დიდი, რომ იგი ხშირად სხვა საკითხებსაც შუქს ფენს და თავის ადგილს მიუჩენს მანამდე ამოუხსნელ მოვლენებს. ახლა ჩვენთვის ადვილი მისახვედრია, თუ **ჯორჯ ბუში** რატომაა ასე თავგადადებული. — შიმშილისაგან ნენას და სასმელ-საჭმელი მიაწოდოს საბჭოთა ხალხს! ცხადია, იმიტომ, რომ იმედი აქვს, აქედან ცოტაოდენი თავის სისხლისაც — ქართველ ხალხსაც — შეხვდება!

რა თქმა უნდა, არც ის იყო შემთხვევითი, **უდიდესად შევარდნაძე** ამდენს რომ დადიოდა ამერიკაში **ჯორჯ ბუშთან** და **ბეიკერთან** შინაურულად ჩაცმული მთადარ[illegible] ადგილობასა და თამაშობაში გემოზე ატარებდა [illegible]

ისიც ბუნებრივია, რომ ხსენებული გაზეთების ინფორმაციამ კანონიერი სიამაყის გრძნობა დაბადა ჩვენში და დაუოკებელი წადილი აღგვიძრა, შევიტყოთ კიდევ რომელი სახელმწიფოს მეთაურის ძარღვებში ჩუხჩუხებს ქართული სისხლი?

ჩვენი მკითხველი (და არა მარტო მკითხველი) საზოგადოების ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო წერილში გაკვრით აღნიშნულმა ცნობამ, რომ **ჰიტლერის** პირველი ცოლი ქუთაისელი **დათეშიძის ქალი** იყო, თუმცაღა ეს ადრეც გვქონდა გაგონილი, მართალია, არც დასავლურ და არც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამაზე სიტყვაც არ არის დაძრული. მაგრამ ჩვენ ხომ თითქმის ამ ნახევარი საუკუნის წინათ ვიცოდით, რისთვისაც დაიწყო დიდი სამამულო ომი. **ჰიტლერმა სტალინს** მოსთხოვა, **„მომე ფეროიო“** (ე. ი. ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანაო. ზუსტად ვერ გეტყვით, შესაძლებელია, ეს ადგილები ისტორიულად **დათეშიძეთა** გვარს ეკუთვნოდა!). **სტალინმა** არ მისცა „ფეროიო“! მაშინ, ის იყო, **ჰიტლერმა** მისი ძალით, ომით ხელში ჩაგდება მოიდომა!

ჩვენთვის არც ის იყო საიდუმლო, რომ ომის დროს ზესტაფონი და ქუთაისი დაბომბვას **დათეშიძის ქალმა** გადაარჩინა, როცა მან ქმრის ეს ავი განზრახვა შეიტყო, თურმე მეუღლეობრივი სინაზით შეეკედრა მას: **ადოლფ, რას შობი, კაცო, ამას ეცი პატივიო,** და მუცელზე ხელი დაიდო. **ეს ბომბები, აგერ არის მოსკოვი და, იმას ურტყი, რამდენიც გინდაო!**

დიახ, ყველაფერი ეს გაგონილი გვქონდა, მაგრამ სულ სხვაა გაგონილი და სულ სხვა — დაბეჭდილის, თანაც ორჯერ დაბეჭდილის, საკუთარი თვალით ნახვა!

ახლა, გასაკვირი არაა, რედაქციებში წერილების ნაკადი და ტელეფონების ზარი არ წყდება. ყველა პატრიოტი ქართველი დაინებით სვამს კითხვებს: **ბოლოს და ბოლოს, ჰიტლერსა და დათეშიძის ქალს ჰყავდათ თუ არა შვილი და თუ ჰყავდათ, ხად არის, რა ბედი ეწია მას?**

დღეს ამ საკითხების გარკვევა ჩვენი პუმანიტარული და, ასე გაინჯეთ, ტექნიკური ინტელიგენციის უპირველესი ამოცანაა. თქმა არ უნდა, ის ძალები, რომლებიც ქართული დასავლური უახლესი ეროვნულ-გრანტული ლიტერატურის ზუსტი, უშეცდომო გადმოწერით და ამით ფუნდამენტური ორიგინალური ნაშრომების შექმნითა და სამამულო მეცნიერების არნახულ სიმაღლეზე აყვანით არიან დაკავებულნი, ყველანი ერთიანად ამ საქმეზე უნდა გადმოვიყვანონ და შაგრად ჩავაბათ!

მაგრამ, ვიდრე ამ მიმართულებით ფართო კვლევა-ძიება დაიწყებოდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდებოდეს, მინდა დაინტერესებულ პირთ ყურადღება მივაქცევინო შემდეგ წყალგაუვალ ფაქტებზე:

ჯერ ერთი, რატომ მაინცადამაინც **ედუარდ შევარდნაძის** საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს მოხდა გერმანიის გაერთიანება და ბერლინის ყრუ კედლის აღება? ვისაც **ახსენ თვალნი ხედვად და ყურნი სმენად,** მიხვდებიან: ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ შინაურობაში, დიდი ნდობისა და სისხლხორცეული ნათესაობის შედეგად. გადამთიელს, აბა, ვინ ენდობა, ან ვინ რას გაუკეთებს?! ვისთან პირადი ურთიერთობით გაკეთა ეს **ედუარდ შევარდნაძემ?** დიახ, **ჰელმუტ კოლთან! შევარდნაძეს** ეს კაცი თავის ახლობლად და ჯიგარად რომ არ მიეჩნია, დამეთანხმებით, ასეთ ნაბიჯს არც და ვერც გადადგამდა!

მეორე: ჩვენთვის ჩასაცმელ-დასაძრობის, სასმელ-საჭმელის, სიგარეტების გამოგზავნაში [illegible] ჩვენს რჩენაში ეს გერმანელი კაცი **ჯორჯ ბუშს** [illegible] მხარეში? მარტივი ჭეშმარიტებაა, იურიდიულად და [illegible] სხვას არავის, მხოლოდ მშობლებსა და შვილებს [illegible] ერთმანეთის რჩენა და პატრონობა. აქედან გამომდინარეობ[illegible] **ჰელმუტ კოლს** საქართველო და ქართველი ხალხი მშობლიურად რომ არ ესახებოდეს, უეჭველია. ამ მოწყალებას არც და ვერც გაიღებდა!

მესამე: გვარი **კ ო ლ ი** არაფერს გვეუბნება? ცნობილია, რომ გერმანელებს ჩვეულებრივ ისეთი სახელები და გვარები აქვთ, საქართველოში მსგავსს ვერაფერს გაიგონებ. ამ დროს კი ეს გვარი როგორ ესადაგება ჩვენში ფართოდ გავრცელებულ სახელს — **კ ო ლ ი ა!** არაფერი შავდება იმით, რომ ჩვენში **კ ო ლ ი ა** სახელია, **ჰელმუტისათვის** — გვარი, ბოლოს და ბოლოს, ფსევდონიმებზე რომ არაფერი ვთქვათ, ხომ ცნობილია, გვარები ძირითადად ადამიანთა სახელებისაგან არის მიღებული!

თუ კინმე ურწმუნო თომა გამოდგება და იტყვის, **კ ო ლ ი ა** რუსული სახელიაო, ჩვენ პასუხი ამაზეც გვაქვს: კი, ბატონო, ასე იყოს, მაგრამ ქართულში რომ გვაქვს გვარი **კ ო ლ ე ლ ი შ ვ ი ლ ი,** ამას სადღა წაუხვალთ?!

მეოთხე: განა ცოტას ნიშნავს პორტრეტული მსგავსება? აბა, ირგვლივ მიმოვიხედოთ, რამდენ ჩვენს ნაცნობ ქართველს მოგვაგონებს ამ გერმანელის გარეგნობა! მაგალითად, ვინც **გივი ბოჯგუას** არა მარტო ნაწერებით, პირადადაც იცნობს, უმალვე დამეთანხმება. სახითა და ტანით, როგორც გაჭრილი ვაშლი. ისე ჰგვანან ისინი ერთმანეთს! ჰოდა, მადლობა ღმერთს, ახლა ჩვენში გენეტიკის კანონები არც აკრძალულია და არც უარყოფილი!

მეხუთე: რადგან გენეტიკა ვახსენეთ, განა ისიც საკითხავი არ არის, ეს კაცი საიდან მოექცა გერმანელი ხალხის სათაესეში, ვისგან მიიღო მან ეს გენი?

თუ ყველა ამ ფაქტს ერთიანობაში განვიხილავთ, ასი პროცენტით **დათეშიძის ქალამდე** და მის პატივცემულ მეუღლე **ადოლფ ჰიტლერამდე** მივალთ!

დიახ, მე რომ მკითხოთ, დღესავით ნათელია, რომ **ჰელმუტ კოლი ჰიტლერისა** და **დათეშიძის ქალის** ღვიძლი შვილი და მემკვიდრეა! ამას შემდგომში შესწავლა და დაზუსტება ოდნავადაც არ სჭირდება და, უმჯობესია, ჩვენი მეცნიერები საფრანგეთის, ინგლისის, იაპონიისა და ჩინეთის მთავრობათა მეთაურების გვარტომობრივი საიდუმლოს ამოცნობის კვლევისაკენ წარვმართოთ! თუ ამ სახელმწიფოთა პირველი კაცებიც ქართველური მოდგმისანი აღმოჩნდნენ, მაშინ ჩვენი უახლოესი მეზობლების, ირანისა და თურქეთის, ხელმძღვანელთა ქართველობის დამტკიცება, რაც კიდევ უფრო იოლად შეიძლება, სრულებითაც აღარ დაგვჭირდება — საკმარისია, შინაურ შუღლსა და აშლილობას მოვუაროთ, გარეშე ძალებისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტია ხელში გვაქვს!

ბორის დარჩია

ეროვნული ბიბლიოთეკა
ჯარიანი ბენის ეკლესიები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ზუგაშვილისა

გვსმენია სოდომ-გომორი — ქაოსი ძველთა ქალაქთა!
თურმე არსებობს ომონიც, სიკვდილის ფრედ რომ
განლაგდა!..

თუ სადმე ოდნავ ისუნთქავ თავისუფლების ჰაერით,
უმალ გაჩნდება ომონი საჭურვლით ნაირ-ნაირით!

თავს „შვენის" შავი ბერეტი, შავთა საქმეთა თაოსანს,
სადაც გაჩნდება, მიდამო ემსგავსის სასაკლაოსა!..

არ შეიძლება არ შეგძრას მათმა „ხელფერამ" საზარმა! —
რომ მორჩებიან მკვლელობას, მიაშურებენ ყაზარმას!..

აქ ვითომც არაფერია, ვითომც ფესრიები დამუარდა!
ჰა, ესეც დემოკრატია, რომ დამუაუდა და გაუალგდა!

... და ჩაკლეს ჩანასახშივე თავისუფლების ჰორმონი!
ნულარ გაგებდავ ურჩობას, თორემ მოვიდა ომონი!

სტეფანე მხარგრძელი

ომონი — სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს
განსაკუთრებული დანიშნულების რაზმი.



სალაღობო სტრიქონები

75 წლის აბული დადიანს

თავადი, დენდი, რაინდი —
დადიანია აბული —
საქართველოსთვის შრომაღილი,
საქართველოსთვის დაგული,
შთამომავალი ცოტნესი —
მამულიშვილის ზეპარულის,
...სპოსა მჭიდი, ნაზარდი,
ალვა, ედემში დარგული,
მანათობელი, მბრწყინავი
პატიოსნებით ქართველი,
დემოკრატ-არისტოკრატი,
ჭენტლმენი ელეგანტური,
ქველმოკმედებით, სიუხვით,
დიდსულოვნებით განთქმული,
ეფორნალისტი და მოღვაწე,
მუდამ შრომაში ვართული,
კაცი — იმედი, ნუგეში,
სითბო, სიკეთე, ხალბუნი!..
ხელოვნება და სპორტი
მისი სფერო და სადგური,
და სატირული კალამიც
უპრის, ვითარცა ფრანგული!
(„მრეგალ მაგიდასთან“ ნენენით
აქვს მიტანილი აფორმა!)
... მან მის მეკრეტ კალეს წაუღის
სული, გონება და გული...
და ხმიდან შინაბერებად,
აგულის ტრფობით „დაბმულნი“!..
ელოდეს მის კალამს, კაცობას,
მის სადღეგრძელოს სუფრა გულით,
თანაც ეთხოვ: ერთი კრებული
გამოსცეს წესით სტამბურით!

„ნიანგის“ დავალებით —
ზაურ ბოლოქავაძე

აგული დადიანი

საქართველოს ცხენოსანთა ნაკრები ბენდი საკავშირო პირველობაზე ბიენალეზეა ტაშენტს. მან ბოლო ეშელონი დაბპარდა. ეს გრიფელი იყო და ყველაფერი კეთილდღეობენს. ბენდს ხელმძღვანელობდა საკარავეულის კომენსატორი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი — ხუთიკვარად არ შეიძლებოდა, მაგ! იგი ჯეკნაირ კაცი იყო. ოფიციალ ბრძანით დაკიდდებოდეს. ბენდელი ბანდაგან. დედეკაციის წევრებთან თავი ხადად ეჭირა. ცხენოსნები ეოტა ხეხანირი ხალხი რომ იყო, სწრაფად მიხვდა და თავად ბენდეკენ მათთან გაშორაურება. ხანდახან რაიმე ხასიკოლის ყვავიდა ოყიანი ცხოვრებიდან (ერთ ფრო ბერის ერთ-ერთი რაკოკობის პირველი მდივნად მუშაობდა).

ამ ამბებიდან რამდენიმე მახსოვს და ახლა ვნერ.

— მიეიღე ახალი „ეოლეგა“ — ყვება იგი, — და დილით წყვედი ჩაის ბლანტაციაში. შესვენების ფროს მოეჯდები. ჩაეეჭეკენ მათ ბეარმარილს და „ოჩეულ“ ვერ ეეილალტე — დაეფეკეს საადგილეო სიტყვანი. ერთი ხანდაზმეულ ეოლეს მეეერე ოგი სიტეკა არ მიგეეეხო ეეერს! ჩემს ახალ ბანკანის ეაეერებდა, წამოდგა და ახლის მიეიდა, ეკეალს ეერაოდეს მიიკეკა. შემოეარა გარშემო, ხელთაოდ მოსინჯა.

— მოგწონს, ბიძია? — შეეეკითხე ღიმილით.

— კი! კაია, ღირნერია! — ისე მიპასუხა, არც მოეეხედავს ჩემკენ.

— ასი ცხენის ძალა აქვს!

— ამე?! ეერაკენი ბოეე გერიას ბატონობდა და ეერ ცხენზე იჯდა, შენ რა ფარაკვი ხარ, მარტო ერთი რაიონის ეკელაზი ასი ცხენის ძალა რომ ეკერიდეს?!

— ახეედ ხარბარი. თვითონ ვითომ აკ არაფერია, ეკეთნეკი ჩრდილში.

* * *

ერთ ხოეედლში ახლად ახარჩევი კოლმეურნეობის თავჯ
ეფარის ორი კაბედადერა ეაზიაეეკ. არადა, თბილისიდან ყოველდღე მიჩეკავენ, რა ამბავი, რა ხდებიო?! ბოკეის-მოკეის ეპეეეი. მეკოეედ მიბრძანეს, ზეე ამათი თავჯეფარაბე ადგილზე იყოსო! რა მეკენ? ამავე საღამოს ეკეედი. ეკეიეკენე ახალი კაბედადერ-ალები ხალხთან ალეეო. ყველა მზიარეულად იყო. ეტყოთხდეო, ბოსეონდეთ ეთ ეაეზანენი.

ავედი სცენაზე. გამოვედი სიტყვით. ეახეკარი ხალხ მაინც ეიდასპარეკე პარტიაზე, ხაეკონებზე, სოციალიზმზე, კომუნიზმზეეა... შეეჯაეკეე. ხალხი ამყეკ. ეარეეფდაგინე ახალი კაბედადერ-იკოსედეთ, დაკეახანათე. თითქმის ერთმანდ გავიდე. შეეამჩნიე, ეკერ, ცხეკოსნეი ბიზის კაკეი, ორიკე ხელი ბალკა ეაზეეეეკ და ეშმაკურად მიკლინა. ეკმეალი ხელმა და შეეეკითხე:

— ამბანაეო, რატომ გაკეეთ ორიკე ხელი აზეეალ?

იკეთ რა მიპასუხა?

— ფირალ თე ორიკე ხელი არ ეეზეო, გესკრის!

* * *

ს ა ბ ე ი ერ ნ ი ო ნ ე ბ ი ეეეე

...

საქმე!.. საქმე!..

თუ მათქმევინებ, მადლი ღმერთს,
თუ სათქმელს გულში არ
ჩავკლავ! —
შურით წავაგეთ, გავიღეთ,
უფრო დუმილით დაგვაკლდა!

სინდისს ღვთის თვალი დარაჯობს,
სინათლე ღამის მიღმაა!
ათ სიტყვას ერთი საქმე სჯობს,
რამეთუ საქმეც სიტყვაა!

თორემ დრო „ავად" სიხინებს,
ძველ დავთრებს თავზე დაგვახევს!
თუ მათქმევინე, მისმინე,
თუ მისმენ, საქმით მანახვე!

დღეს სიტყვა ბუზს არ აიფრენს
და მთავარია, ვინ ისმენს?
არ უნდა მგავდეს — ძაღლი ყეფს,
ქარავანი კი დის ისევ!

კორძი გაგვიჩნდა ენაზე
და ხოტბა ყელზე დაგვადგა!
ახლა ის დროა, ჩემმა მზემ,
როცა თქმაი სჯობს არათქმას!

იმ ნაყოფს მოგვცემს ნარგავი,
რასაც დავთესავთ, ვამაგრებთ!
რა გვქონდა დასაკარგავი,
როცა სინდისი დავკარგეთ?!

უცენსურულად ამოვიბუგეთ,
მაღლით ვუცადეთ განაჩენს,
პირში არაგვი ვიგუბეთ, —
რაღა თევზებს და რაღა ჩვენს?!

წმინდად რა ფიქრი გადაგვრჩა,
ხვალეს რა შემოვუნახეთ,
ან ბრძენი პაპა რად დაშვრა:
„მოყვარეს პირში უძრახე!"

დღეს ორჯერ ძვირად გვიჯდება,
რაც თავის დროზე ვერა ვთქვით!
კარგია ვადაბიჯება
სინდისის გადათელვამდე!

მშვიდობა პგავდეს მშვიდობას!
კარები გადავურაზოთ:
მაამებლობას, ფლიდობას
და თავის კანტურს უაზროდ!

არ გამოგვადგა თამადის
სიტყვა ხმლადა და ფარადა!
ჭირს გულმოდგინედ ვმალავდით,
ჭირი კი თავს არ მალავდა!

ცრუ ქცევებს ამოვეფარეთ,
ყალბი დიდებით ვიწვოდით!
რას ვუმალავდით ერთმანეთს,
როდესაც ყველამ ვიცოდით?!

კეთილდღეობა — პირადი!
ხვალის დღეს „მე"-თი ვზომავდით!
ცალ-ცალკე ყველა ვგმინავდით,
ცალ-ცალკე ყველა მოვთქვამდით!

ბიმნად ვთქვით ეფფა ცერბერის,
კაცობა გავაჩანაგეთ!..
რა გვქონდა წახაგებელი,
როცა სიმართლე წავაგეთ?!

გაგვწირა თავის განწირვამ,
დღე ვწვით სახუფრედ, ხაძილედ!
ღმერთი ვაღონეთ ათწილად,
ათწილად მიწა ვამძიმეთ!

გუშინ იმიხთვის ავაგეთ,
რომ ხვალე გავაჩანაგოთ?!
თუ წაგებაა, ჩვენც ავდგეთ,
ისევ სიმართლით წავაგოთ!

ჩვენს მტერს, ცოტაც რომ
დაგვცლოდა
ეს თითლიბაზა ჯირითი!
ქონებით ვწონეთ კაცობა,
სიმართლე ვზომეთ სიმდიდრით!

ბოდა, ძლივს გადავიყარეთ
რიხხვა! გავლაღდით ლბინხავით!
ბა და ბა, ხელში ვიყარეთ
„ვადანი თავის ხმლიხანი"!

ახლა კი სხვა გზა ვეძებოთ
ხიცრუეთ დაღლილ მიწაზე!
ბოღმით დაიხრჩვით, თევზებო:
ალარ გვაქვს პირი წყლით სავსე!

„ზრომამ ზექმნა ადამიანი"

ეს მე არ მჯერა! ვირი კაცად
ველარც ზრომით ველარ იქცა!
ყვავი იხევ ყვავად დარჩა,
ვარდი, — ვარდად, მიწა — მიწად!

ხან წამოწვა, ხან იყვირა,
დაილია, დაიხარჯა,
მაგრამ მაინც — ვირი ვირად,
კაცი იხევ კაცად დარჩა!

ვერ ივარგა ზვარში მეზვრედ,
ომში — მეხმლედ, დახლთან —
ჩართად!
ედემში თუ ტყემლის ხეზე —
ვირი იხევ ვირად დარჩა!

მიიხაჯა ვირის ლეში,
გაიხიდა, გაირაჩა,
დილეგში თუ ხამოთხეში —
ვირი იხევ ვირად დარჩა!

ვერ აიშვა თავი ხვედან,
ვერ უშველა მაინც გარჯამ —
ხველ თვალებში ხევდა-ხევდად,
ვირი იხევ ვირად დარჩა!

დღე რომ უქმად არ გაეშვა,
მომართული ზურგი ჰქონდა,
გადაზიდა ბევრი შეშა,
ბევრი თივა, ბევრი..., ცოდვა!

ტუუპი წიხლი ბევრჯერ ჩახცა
ყაიბედს და ვაინაჩარს,
მაგრამ მაინც — კაცი კაცად,
ვირი იხევ ვირად დარჩა!

ოღონდ კაცად, თუნდაც ლაჩრად,
თუნდაც ბლუდ და თუნდაც
ქაჩლად!..
არც კაცად, არც კაცის კაცად —
ვირი იყო, ვირად დარჩა!

ძვლები გზა-გზა, ხტრიკონ-
ხტრიკონ
ალმა-ჩალმა არაბუნა,
მაგრამ მაინც ვერ გაიგო,
რა ხილია — ვირმა — ხურმა!

საღამდე და როდემდე?!

ხადამდე ვწეროთ, ხადამდე
ვწეროთ და იხევ ვიკითხოთ? —
ხატანა უფალს არ მგავდეს,
მელია — მინდვრის მორჩილ
ხბოხ!

დავზოგოთ ცახთან თომარი,
ხივრცეში დაფრენს ძერაც ხომ!
არწივად არ ჩნდეს ყორანი
ქატა ვეფხვად არ შევრაცხოთ!

ზოგი თავისას თავს გვახვევს,
მუეფარიც ისე მუეფარობს!..
ერის კაცობის ცრუ ხახელს
როდემდე ამოვეფაროთ?!

ფარად როდემდე ვიფაროთ
იქ „ზევით", მჯდომი „მამაი",
როდემდე არ შევიბრალოთ
თავი თუ არა, ხხვა მაინც?!

ცოტა კაცია ხაბედოდ,
ბევრი კი — კაცის „ხაცობი"!
როდემდე უნდა ვაკეთოთ
ხალტურა ერის კაცობით?!

ხამზეო თვალის ახელის
არ იქნა, ალარ გვეღირხა!..
დათვს ერქვას დათვის ხაბელი,
კურდღელს — კურდღლის და
მგელს — მგლიხა!

ხატუვებით ლამაზ-ლამაზით
ვერ მოვრთავთ ამინდს ხვალიხა!
გავაზს. შეარგოს გავაზის,
ყვავს ყვავის, ქარს კი — ქარიხა!

ჩვენივ ჯილაგი გაკეკურდეთ,
„ვინც ვართ, ჩვენ ვართ!" —
ეს ეხმის,
ეხევ: მანკურთეს — მანკურთებს
კეიხარს — ეხევ კეიხრეს!

ოხრეხა დარჩეს ოხრადვე,
ნატვრის ცახ შერჩეს ნატვრეხა,
ლომეხა ლომსვე მოხმარდეს,
კატახ მოხმარდეს კატეხა!

ხხვამ არა, ჩვენივ ხომ ვიცით,
რომ „ტაშტაშობით" გავთავდით?!
თოვლის ხიცივე— თოვლის წილ,
მკათათვეს — ხითბო მკათათვის!

ხიმართლე ცოტახ ადარდებს,
უფრო — ხიმართლეს ვინც
ითხოვს!

ხადამდე ვწეროთ, ხადამდე
ვწეროთ და ეხევ ვიკითხოთ?!

...ეროვნული ჭეშმარიტება, ისევ ძიებაში...

ეს უცნაური სიზმარი ამ დღეებში ვნახე.

სიზმრები, თუ არ იცით, იცოდეთ, რამდენიმე ძირითად კატეგორიად იყოფა. უფრო ხშირად გეხვდება ყოფითი ხასიათის სიზმრები. დღეით, პრაქტიკამ დამარწმუნა, აპოლიტიკური სიზმრები ჭარბობს. პახმელიაზე კი, მითუმეტეს ზაფხულში, ეროტიკული და, წიგადაშიგ, სექსუალური ხილვებიც არის მოსალოდნელი!..

ასეა, ბატონო, ადამიანს ძილში ყველაფერი შეიძლება მოელანდოს!

სიზმარი, რომელიც ამ დღეებში ვნახე, ბევრი ვიფიქრე და, აქამდე ვერც ვრთ ძირითად კატეგორიას ვერ მიეუსადაგე.

აი, რა მეზმანა:

ადრეული შემოდგომის თბილი საღამო იდგა.

სიონში დედოზარს არისხებდნენ.

ყვავილებით, პლაკატებითა და სამფეროვანი ეროვნული დროშებით მორთულ-მოკაზმული რუსთაველის პროსპექტი თანდათან იესებოდა ფეხმძიმე ქალებით.

დროდადრო როცა სიო დაქროლებდა, საქართველოს დედაქალაქში უკვდავების წყაროსავით იღვრებოდა სოლოლაკის მთაზე შემომდგარი ქართველის დედის ომახიანი ხმა:

„ამ დღეს ველოდი, მოვეხწარ,
ვიცინი, ალარ ვხტირი მე!..“

ამაოდ ეაცეცებდი თვალებს. მამაკაცის ჭაჭანება არ ჩანდა. რუსთაველის პროსპექტი ორსული ქალებით ავსებულიყო.

— ყმაწვილო! — ფიქრებში გართულს მოულოდნელად შემომესმა ქალის საამო ხმა.

მოვიღე თავი.

ჩემს წინ შუახნის ფეხმძიმე ქალი იდგა.

— ყმაწვილო, გილოცავ იმპერიიდან საქართველოს განთავისუფლებას!

— კაცები?! — მადლობის გადახდისთანავე მორიდებით შევკადრე შუახნის ქალს, — კაცები სად არიან?!

— ბანგლადეშში.

— სადა?!

— სიერა ლეონეში.

ის-ის იყო, პირი დავაღე, რომ ორსულმა ქალებმა აქეთ-იქიდან სეტყვასავით დამაყარეს:

— ბარბადოსში, ომალში, სომალში, დანიაში!..

— პორტუგალიაში!..

— ჰავანაში, ერევანში!..

შუახნის ფეხმძიმე ქალი, ეტყობოდა, ლიდერი იყო. გადაყირავებულ ჯავშანტრანსპორტიორზე შეხტა. ორივე ხელი ტიკვიით გამობერილ მუცელზე გარდი-გარდმო შემოიწყო და დასჭექა:

— საქართველოს დე ფაქტო და დე იურე ყველამ ცნო!

ჩაახველა და განაგრძო:

— სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობა დავამყარეთ! საელჩოები გავხსენით და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლები გავგზავნეთ!

ორატორმა თვალზე მომდგარი კურცხალი გაფშეკილი თითით შეიმშრალა და სევდიანად ჩაილაპარაკა:

— ქართველები ცოტანი ვართ, და ორი მამაკაცი დაგვაკლდა!

— ეეე! — ჩაურთო ვიღაცამ, — მარგარეტ ტეტჩერი რომ პრემიერად დარჩენილიყო, ინგლისში ქალიც შეიძლებოდა გაგვეგზავნა ელჩად!

არ იყო ურიგო მოსაზრება.

ორატორმა კულულები შეისწორა, წარსდგა ბიჯი და თანდათან უფრო აუწია ხმას:

— ახალგაზრდა ქართველი ქალები არ თხოვდებიან! ბიჭები ერთმანეთს ხოცავენ! ერი ვერ მრავლდება!..

გააქუქუნა თვალები და განაგრძო:

— სხვა ჩარა არ არის! როცა ჩვენი ქმრები საელჩოებიდან შინ შვებულებით ჩამოვლენ, უნდა მივდგეთ-მოვდგეთ და, როგორმე, ხელმეორედ დაფეხმძიმდეთ!

დასცხეს ტაში.

და მაშინ, როცა ოვაცია მინელდა, გადაყირავებულ ჯავშანტრანსპორტიორზე შესკუპებულმა ქალმა თვალი თვალში გამიყარა და სევდიანად მითხრა:

— რუსეთის იმპერიაში სრულუფლებიანი წარმომადგენელი არცა გვყოლია და არცა გვყავს!

შემოირტყა დოინჯი და მოკრა:

— ერთადერთი მამაკაცი შენღა დარჩი! გინდა თუ არ გინდა, მოსკოვში უნდა წახვიდე საქართველოს სრულუფლებიან ელჩად!..

მზე ამოდიოდა.

სიონში დედოზარს არისხებდნენ.

რუსთაველის პროსპექტზე ქართველი ფეხმძიმე ქალები „ჩაკრულოს“ მღეროდნენ!..

ეხ!

ნეტა, სულაც არ გამღვიძებოდა!..

ოთარ დეკეტრაშვილი

ნახ. ბ. ავალიანისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 306
12.VI 1991

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



17 მარტის რეფერენდუმამდე...

17 მარტის რეფერენდუმის შემდეგ...

ფოტოფანმარი ბ. კუტელია

იური რადიანსკი

(ქ. ოდესა)

არასტანდარტული აზრები

არასაშტატო სიტუაცია

კოსმოსში არასაშტატო სიტუაცია ტექნიკური მოწყობილობის უწესივრობის მიზეზით ხდება, ხოლო სოფლის მეურნეობაში — უხვი მოსავლის მიზეზით.

მოსკოვური ახალი ამბები

უფინ როგორი ახალი ამბები გინდათ შეიტყოთ — სასიამოვნო თუ მოსკოვური?

ამო

დღეისათვის უკვე ზუსტადაა დადგენილი, რომ ყველას ჯობია, როცა სამნი უთვალთვალებენ ამოუცნობ მფრინავ ობიექტებს!

არგუმენტები და ფაქტები

გვაქვს არგუმენტები, გვაქვს ფაქტები! აი, საკმელი კი არა გვაქვს!

თარგმნა ელგუჯა მერაბიშვილმა

ბაუგბერობა

— თქვენი დაავადების შემთხვევა, ქალბატონო დიკე, მედიცინას გაამდიდრებს! — უთხრა ექიმმა პაციენტს.

— მე კი თქვენზე მითხრეს, ზომიერ საფასურს იღებსო!

ინტერვიუ

— მითხარით, ქალიშვილო, ბავშვები ინტიმურ თემებზე შეკითხვებს არ გაძლევენ? — კითხა ეურნალისტმა მასწავლებელს.

— როგორ არა! და ძალიანაც ართობთ ჩემი მიამიტობა!

იმედის გაცრუება

ექსპერიმენტატორმა ნაღვლიანად ასწია თავი მიკროსკოპიდან და კოლეგას კითხა:

— სიტყვა „ევრიკას" ანტონიმი ხომ არ იცი?

ეთიკა

მდიდრული რესტორნის ოფიციანტმა დაინახა, სტუმარმა როგორ საგულდაგულოდ გაინახავა ხელსახოცი ნიკაპქვეშ, რითაც თავის დაბერისა და თავაზიანობის წესები დაარღვია.

ოფიციანტი მაშინვე მიუახლოვდა, თაყვანი სცა და კითხა:

— წვერის გაპარსვა გნებავთ, თუ თავის გაკრეკა?!

თავდავიწყება

შეუვარებული წყვილი სასადილოდ რესტორანში შევიდა. ერთმანეთს ისე თავდავიწყებით შესცინებდნენ, რომ საკმლის შეკვეთა აღარც კი გაახსენდათ.

ბოლოს ვაჟმა უთხრა:

— რა ტკბილი ხარ, ლამის შეგჭამო!

— მეც შენი შეჭმა მინდა! — მიუგო ქალიშვილმა.

მაგიდასთან მდგარმა ოფიციანტმა ჩაახველა და კითხა:

— სასმელს რას დააყოლებთ?

ღონისძიება

პანსიონატის მობინადრემ დიასახლისს შესჩივლა:

— აქ ძალიან მოწყენილობაა! კულტურული ღონისძიებების თუნდაც რაიმე პროგრამა თუ გაქვთ?

— როგორ არა! იქითა კვირას მთვარის დაბნელებას ვაწყობთ!

მილოცვა

რეპორტიორმა ასწლიან იუბილარს მიმართა:

— ვიმედოვნებ, რომ პატივი მექნება ას ორმოცდათი წლის იუბილეც მოგილოცოთ!..

— რატომაც არა! საკმაოდ ცოცხლად გამოიყურებით! — მიუგო იუბილარმა.

პრეტენზია

მოსამართლემ გამოუსწორებელ დამნაშავეს კითხა:

— როდისმე რამე სიკეთე თუ გიქნიათ ადამიანებისათვის?

— როგორ არა, თქვენო კეთილშობილებავ, ჩემი წყალობით ათ დეტექტივს გამუდმებით ჰქონდა სამუშაო! — ამაყად მიუგო მან.

უცნაურობა

ხნიერი ქალი აფთიაქში შევიდა და იკითხა:

— თუ გაქვთ აციდიუმ აცეტილოსალიცილიუმი?

— „ასპირინის" თქმა გინდათ? — უთხრა მეაფთიაქემ.

— დიახ, დიახ, ასპირინი! სულ მავიწყდება ხოლმე მისი სახელი!..

გერმანულიდან თარგმნა ზოთა ამირანაშვილმა

სტანისლავ ეჟი ლეცი
(პოლონეთი)

ვაზროვნებ — მაშასადამე, ვარსებობ!

● **ზეცდომა** შეცდომად მხოლოდ მაშინ ხდება, როცა წარმოიშობა, როგორც ჭეშმარიტება.

● **უპირატესობას** ვანიჭებ წარწერას — „**შეხვლა აკრძალულია!**", ვიდრე წარწერას — „**გამოხავალი არაა!**"

● **ეუდამ** მოიპოვებიან ესკიმოსები, რომლებიც შეიმუშავებენ ინსტრუქციას კონგოს მცხოვრებთათვის, თუ როგორ მოიქცნენ პაპანაქება სიცხის დროს.

● **სამყაროს** ფანჯარა შეიძლება გაზეთით დაიხუროს.

● **ხდება** ხოლმე, რომ ზარებს აქანავებს მნათე.

● **კოცონით** წყვდიადის გაფანტვა არ შეიძლება!

● **იდეების** გაკულტივირება შეიძლება კულტამდე დაიყვანო.

● **ვისაც** იდეები ისე შეეყრება, როგორც სურდო, მისთვის ადვილია მასზე მიფურთხება.

● **სულ** უფრო რთულია ჭეშმარიტებასთან გქონდეს საქმე იმ დროისათვის, როცა ყველაფერი შეიძლება ჭეშმარიტება აღმოჩნდეს.

● **რომ** იგი გარდაიცვალა, ჯერ კიდევ არ ამტკიცებს იმას, რომ იგი ცოცხლობდა.

თარგმნა ვ. ბუაჩიძემ

საბავშვო და პიონერის ჟურნალი „ნიანგი" № 8 (1834). აპრილი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ბაბუა ამირეჯიბი, ნომადი ხართია, რევაზ თევზაძე, ჯემალ ლოლუა** (მხატვარ-რედაქტორი), **ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე სანსონია, ხვედან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფწიფაძე.**

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი დუნდუა

ჯადაეცა ასაწყობად 21. 03. 91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 05. 91 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო". შეკვ. №616. ტირაჟი 70.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარ. რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების— 93-49-32, რედაქტორ-ლიტ. მუშაკების — 99-02-38, მდივან-მ ე მ ა ნ ქ ა ნ ი ს — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (на грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Типография журнально-газетного издательства Грузии «Самшобло», ул. М. Костава № 14.

ფასი 40 კაპ.

ინდექსი 74187

7-91

ეროვნული
ბიბლიოთეკა



უსიტყვოდ

ნახ. ვ. კუტიასი